რეგიონალური კონფერენცია

“ელექტრონული სწავლება კავკასიაში – 2010”

საქართველო, თბილისი, 24-25 ივნისი, 2010 წელი.

მოკლე მიმოხილვა

ბოლო წლებში ,,ელექტრონული სწავლება“, ,,შერეული სწავლება“ და ,,მედია-საშუალებებზე დაფუძნებული სწავლება“ საკვანძო სიტყვებად იქცა სწავლებისა და განათლების სფეროში. რა მნიშვნელობა აქვს ამ ტერმინებს კავკასიის რეგიონში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების, სახელმწიფო და ბიზნესკორპორაციებისათვის?

სწავლების ისეთი ფორმები, როგორიცაა ელექტრონული და შერეული ტიპის სწავლება, დიდ შესაძლებლობებს სთავაზობს ისეთ ინსტიტუციებს, რომელთაც ჰყავთ ბევრი მსმენელი და ამავდროულად უხდებათ ბრძოლა რესურსების მოსაპოვებლად (მაგალითად, ადამიანური რესურსები, ფინანსები). გარდა ამისა, სწავლების ელექტრონული და შერეული ფორმები წამოჭრის ისეთ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტისათვის საჭიროა დაწესებულებებში დაინერგოს მედია-საშუალებებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში ელექტრონული სწავლების მიმართულებით რამდენიმე პროექტი განხორციელდა. ეს კონფერენციაც InWent-ის (კვალიფიკაციის ამაღლების საერთაშორისო გერმანული ორგანიზაცია) მიერ წარმატებით განხორციელებული ერთ-ერთი პროექტის ნაწილია და მას აფინანსებს გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო. 2008 წლიდან ამ პროექტის ფარგლებში სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს 20-ზე მეტ დაწესებულებაში დამუშავდა და დაინერგა პილოტური ელექტრონული სასწავლო კურსები.

კონფერენციაზე “**ელ. სწავლება კავკასიაში – 2010”** წარმოდგენილი იქნება ელექტრონული სასწავლო კურსების დანერგვის პრაქტიკული მაგალითები კავკასიის რეგიონში; განხილული იქნება ელექტრონული სწავლების პრობლემები და უპირატესობები. საკუთარ გამოცდილებას გაგვიზიარებენ კვალიფიციური სპეციალისტები კავკასიიდან, ევროპიდან და აფრიკიდან, რომლებიც მზად არიან თანამშრომლობისათვის. .

ეს კონფერენცია არის ნაწილი პროექტისა „ ადამიანური რესურსების განვითარება ელექტრონული სწავლებისათვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში“, რომელიც განხორციელდა კვალიფიკაციის ამაღლების საერთაშორისო ორგანიზაციის InWent-ის მიერ, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს მხარდაჭერით (BMZ).

საკონფერენციო თემები

კონფერენციაზე “**ელექტრონული სწავლება კავკასიაში – 2010**” განხილული იქნება სხვადასხვა საკითხები, მათ შორის: სტარტეგიული მიდგომა ელექტრონული სწავლების დანერგვისადმი, წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები, ხარისხის უზრუნველყოფის რესურსები (ტექნიკური, ადამიანური) და სხვა. კონფერენციაზე დეტალურად იქნება განხილული აღნიშნულ სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები, რაც დამსწრეებს ელექტონული სწავლების სხვადასხვა ფაქტორის შეფასების საშუალებას მისცემს.

ქვემოთ მოყვანილია საკონფერენციო თემების მოკლე მიმოხილვა:

როტაციული საკითხები:

- ელექტრონული სწავლების სტრატეგია;
- ელექტრონული სწავლების ტექნოლოგია;
- ხარისხის მართვა და აკრედიტაციის პრობლემები ელექტრონული სწავლებისათვის;
- ელექტრონული სწავლების წარმატებული ქსელები (საერთაშორისო და რეგიონალური მასშტაბით);
- ელექტრონული სწავლება შორეულ რეგიონებში;

სექტორების თემები

- ელექტრონული სწავლება ტურიზმში;
- ელექტრონული სწავლება ბიზნესსა და სამუშაო ადგილზე;
- ელექტრონული სწავლება და შერეული სწავლება პროფესიულ განათლებაში;
- ენის სწავლება მედია-ტექნოლოგების გამოყენებით;
- მასწავლებელთა და ტრეინერთა მომზადება;
- კავკასიის უნივერსიტეტები და ელექტრონული სწავლება;

- სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე და ინოვაციური მიდგომა ელექტრონული სწავლებისადმი;

მიზნობრივი აუდიტორია

ეს კონფერენცია ტარდება მათთვის, ვინც დაკავშირებულია სწავლისა და სწავლების პროცესთან საგანმანათლებლო დაწესებულებებში, უნივერსიტეტებში, კერძო სასწავლო ინსტიტუციებში, კორპორატიულ სასწავლო ერთეულებსა და სხვა მსგავს დაწესებულებებში კავკასიის რეგიონში. ასევე მათთვის, ვინც დაინტერესებულია ელექტრონული სწავლების დანერგვით სხვადასხვა ორგანიზაციებში. გარდა ამისა, თუ თქვენ ან თქვენს ორგანიზაციას აქვს გარკვეული გამოცდილება მედია-ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენებისა , გიწვევთ კონფერენციაზე ამავე რეგიონის სხვა ექსპერტებთან გამოცდილების გასაზიარებლად.

მომხსენებლები და სტუმრები წარმოდგენილნი იქნებიან შემდეგი ორგანიზაციებიდან:

- სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს პროფესიული სწავლების დაწესებულებები;
- ელ. სწავლების საერთაშორისო ქსელების ხელმძღვანელები;
- იმ უნივერსიტეტების წარმომადგენლები, რომლებიც მსმენელებს სთავაზობენ სწავლების ელექტრონულ ფორმას;
- კორპორატიული სასწავლო ერთეულები;
- ტურისტული ორგანიზაციები;
- გადაწყვეტილების მიმღები პირები იმ უნივერსიტეტებიდან და სხვა სასწავლო დაწესებულებებიდან, რომელთაც ესაჭიროებათ ინფორმაციის მიღება სწავლების ელექტრონული ფორმის მასშტაბზე კავკასიის რეგიონში;
- წარმომადგენლები ამიერკავკასიის სამი ქვეყნის განათლების სამინისტროებიდან.

დამატებითი ინფორმაციისათვის კონფერენციის შესახებ, შეგიძლიათ, მიმართოთ კონფერენციის ორგანიზატორებს შემდეგ მისამართზე:

ანდრეას ჰორფურტერი(კოორდინატორი გერამანიიდან) *:* ***a.hoerfurter@common-sense.at***

საკონტაქტო პირების ელექტორნული მისამართი საქართველოში:

პროფესორი ***ირაკლი შუღულაია:*** ***irakli_germ@yahoo.de*** *; ტელ.: 899 67 85 86*

პროფესორი ***მარიამ მანჯგალაძე:*** ***mariam@ice.ge;*** *ტელ.: 899 105 140*

პროფესორი ***თამარ ლომინაძე:*** ***tlominadze@yahoo.com;*** *ტელ.: 899 18 17 69*